ბრძანება:**ბ47. 4725353001**
თარიღი:**19/12/2025**

ბრძანება N 112

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი

სხდომის მოწვევის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 26-ე მუხლის 1-ლი პუნქტის , 61 -ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 აპრილის №9 დადგენილებით დამტკიცებული ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის მე-40 მუხლის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. მიმდინარე წლის 26 დეკემბერს დღის 12 საათზე, მოწვეულ იქნეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა შემდეგი დღის წესრიგით:

1.1. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ” ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 27 იანვარის №28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: თამარ ახალაძე

საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი

სამართლებრივი უზრუნველყოფის საკითხებში

1.2. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 31 მარტის №5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: თამარ ახალაძე

საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი

სამართლებრივი უზრუნველყოფის საკითხებში

1.3.,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 იანვრის N3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხსენებელი: თეა უჯმაჯურიძე

მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი

1.4.,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შესახებ“ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 დეკემბრის N17 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: მაია გოგოლაძე

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

1.5.,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის შესახებ“ .

მომხსენებელი: მაია გოგოლაძე

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

1.6.„ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის შესახებ“.

მომხსენებელი: ნიკოლოზ დუმბაძე

სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსი

1.7. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2025-2029 წლების მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: ლელა მდინარაძე

მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის გარემოს დაცვისა და

სოფლის მეურნეობის განვითარების განყოფილების უფროსი

1.8. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 აპრილის №9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

მომხსენებელი: მარიტა მგალობლიშვილი

სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე

1.9. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის პირველი კვარტლის სამუშაო გეგმის შესახებ.

მომხსენებელი: მარიტა მგალობლიშვილი

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე – ჭავჭავაძის ქ. N 4.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

დავით შარაშიძე

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი